საქართველოს მთავრობის

დადგენილება №598

2019 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/09/2013, 430030000.10.003.017410) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ (დანართი №1):

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას ახორციელებენ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების შესაბამისად:

გ.ა) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გზით;

გ.ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ჩატარებული კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) შედეგების საფუძველზე იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.“;

ბ) მე-7 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება გაიცემა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის მიხედვით (ქალაქის, დაბის, სოფლის დონეზე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე, თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე იმ პროფესიული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, რომელიც გადალახავს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;

ბ) ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებების მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამავე დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის მიხედვით (ქალაქის, დაბის, სოფლის დონეზე) ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე, თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ პროფესიული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, რომელიც პროფესიული ტესტირების ან კონკურსის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩაირიცხა ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის მიხედვით (ქალაქის, დაბის, სოფლის დონეზე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურზე.“;

ბ.ბ) მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის კონკურსის საფუძველზე ჩარიცხვის შემთხვევაში, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაცემა ხდება ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემების პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებების მიერ ასახვის საფუძველზე.“;

გ) 8^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. თუ ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 5-ზე ნაკლებია, თითოეულ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის ვაუჩერის მაქსიმალური ოდენობა გამოიანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.“;

დ) 9^1 მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. თუ ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 5-ზე ნაკლებია, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსებისთვის ამავე დაწესებულებისთვის გადასარიცხი თანხის ოდენობა (მაგრამ არაუმეტეს ამ წესის 8^1 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა) გამოიანგარიშება შემდეგი წესით: მოდულის საფასური მრავლდება ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობასა და 1,6 კოეფიციენტზე.“;

დ.ბ) 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის დაფინანსება, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ხორციელდება შემდეგი პრინციპით: ერთი მოდულის ფარგლებში ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის

შედეგების ღირებულების ჯამური ოდენობა გამრავლებული იმ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაზე, რომლებიც სწავლობენ აღნიშნული მოდულით და გამრავლებული ამ რაოდენობის შესაბამის კოეფიციენტზე. დაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ამ წესის 8^1 მუხლითა და ამ მუხლის პირველი, 1^1 და მე-2 პუნქტებით დადგენილი კოეფიციენტები.";

ე) 9^2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისთვის, პროფესიული ტესტირების ან კონკურსის საფუძველზე ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა გამოიანგარიშება ამ წესის მე-9 და 9^1 მუხლებით გაანგარიშებულ ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების პირველად და კვარტალურ ოდენობას დამატებული 1000.0 ლარით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის გაზრდა შესაძლებელია სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის კოლეჯის მიმართვის შემთხვევაში, რასაც უნდა დაერთოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა.";

ვ) მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, თანხის პირველადი და კვარტალური დაფინანსების მიღების მიზნით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული თარიღის დადგომიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში დაფინანსების მოდულში ადასტურებს თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თითოეული დაფინანსების უფლების მქონე პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებისთვის გადასარიცხი ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის სისწორეს.";

ზ) მე-13 მუხლის:

ზ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროფესიული სტუდენტის, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – მობილობა), მიმღებ დაწესებულებას ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მობილობის განხორციელების შემთხვევაში, ხოლო ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ მიმღებ დაწესებულებას, თუ მიმღები დაწესებულების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი წესით.";

ზ.ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროფესიული სტუდენტის, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – შიდა მობილობა) შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა. ხოლო ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ მიმღებ დაწესებულებას, თუ მიმღები დაწესებულების შესაბამის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.“;

ზ.დ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მობილობის/შიდა მობილობის განმახორციელებელი პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერულ დაფინანსებას მიიღებს პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების კვარტლიდან, იმ შემთხვევაში, თუ მობილობა/შიდა მობილობა განხორციელდება ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თარიღამდე.“;

ზ.ვ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.ზ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, დაფინანსება მიეცემა მის მიერ იმ მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობით, რომელზეც გადადის პროფესიული სტუდენტი.“;

ზ.თ) მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ) 13^1 მუხლის:

თ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროფესიული სტუდენტის ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი დაწესებულების მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა დაწესებულებაში მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – მობილობა) შემთხვევაში, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას მიეცემა მობილობის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში, ხოლო ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მიმღებ დაწესებულებას, თუ მიმღები დაწესებულების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.“;

თ.ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროფესიული სტუდენტის ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (ამ მუხლის მიზნებისათვის შემდგომში – შიდა მობილობა) შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა. ხოლო ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მიმღებ დაწესებულებას, თუ მიმღები დაწესებულების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.“;

თ.დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მიმღებ დაწესებულებას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, დაფინანსება მიეცემა მიმღებ დაწესებულებაში შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობით.“;

თ.ე) მე-8 და მე-9 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

თ.ვ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. პროფესიული სტუდენტის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, მოდულებისგან შემდგარ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში, დაწესებულებას მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ოდენობით მიეცემა ამავე ან სხვა დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელების შემთხვევაში.“;

თ.ზ) მე-10 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადასვლის შემთხვევაში, დაწესებულებას მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა, თუ მიმღები დაწესებულების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.“;

ი) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, ვაუჩერული დაფინანსება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას შეუჩერდება მომდევნო კვარტალის დაწყებიდან ამ პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენამდე, არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში.“.

2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობის“ (დანართი №3) ცხრილის 1979-ე გრაფის შემდეგ დაემატოს 1980-ე – 2256-ე გრაფები, ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 2 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

№	მოდულის დასახელება	მოდულის კოდი	მოდულის ტიპი	მოდულის ფასი

1980	შრომის უსაფრთხოება	0711609	პროფესიული მოდული	56.00
1981	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	0911005	პროფესიული მოდული	102.00
1982	გარემოსდაცვითი საფუძვლები	0111202	ზოგადი მოდული	54.00
1983	გაცნობითი პრაქტიკა- პიანისტ-აკომპანიატორი	0211101	სავალდებულო პროფესიული მოდული	58.00
1984	საწარმოო პრაქტიკა – პიანისტ-აკომპანიატორი	0211102	სავალდებულო პროფესიული მოდული	330.00
1985	პრაქტიკული პროექტი – პიანისტ-აკომპანიატორი	0211103	სავალდებულო პროფესიული მოდული	54.00
1986	ფორტეპიანო 1	0211104	სავალდებულო პროფესიული მოდული	94.00
1987	ფორტეპიანო 2	0211105	სავალდებულო პროფესიული მოდული	90.00
1988	ფორტეპიანო 3	0211106	სავალდებულო პროფესიული მოდული	87.00
1989	ვოკალის აკომპანემენტი 1	0211107	სავალდებულო პროფესიული მოდული	94.00
1990	ვოკალის აკომპანემენტი 2	0211108	სავალდებულო პროფესიული მოდული	94.00
1991	ვოკალური ანსამბლის აკომპანემენტი	0211109	სავალდებულო პროფესიული მოდული	52.00
1992	საორკესტრო-სიმებიანი საკრავების აკომპანემეტი	0211110	სავალდებულო პროფესიული მოდული	48.00
1993	საორკესტრო-ჩასაბერი საკრავების აკომპანემენტი	0211111	სავალდებულო პროფესიული მოდული	48.00
1994	გუნდის აკომპანემენტი მუსიკალური სმენის განვითარება	0211112	სავალდებულო პროფესიული მოდული	48.00
1995	მუსიკალური სმენის განვითარება	0211113	სავალდებულო პროფესიული მოდული	122.00
1996	მუსიკის გამომსახველობითი ხერხების შესწავლა	0211114	სავალდებულო პროფესიული მოდული	136.00
1997	საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა	0211115	სავალდებულო პროფესიული მოდული	135.00
1998	ქართული პროფესიული მუსიკის მოსმენა და აღქმა	0211116	სავალდებულო პროფესიული მოდული	73.00
1999	გერმანული ენა გუნდის მომღერლისათვის A1 (არასრული)	0211117	სავალდებულო პროფესიული მოდული	56.00
2000	რუსული ენა გუნდის მომღერლისათვის A1 (არასრული)	0211118	სავალდებულო პროფესიული მოდული	56.00
2001	იტალიური ენა გუნდის მომღერლისათვის A1 (არასრული)	0211119	სავალდებულო პროფესიული მოდული	56.00
2002	კამერული ანსამბლი	0211120	არჩევითი მოდული	55.00

2003	საფორტეპიანო დუეტი	0211121	არჩევითი მოდული	55.00
2004	გაფართოებული საფორტეპიანო ტექნიკა და გრაფიკული/ვერბალური პარტიტურები	0211122	არჩევითი მოდული	20.00
2005	გაცნობითი პრაქტიკა- მუსიკის რეპეტიტორი	0211201	სავალდებულო პროფესიული მოდული	59.00
2006	საწარმოო პრაქტიკა – მუსიკის რეპეტიტორი	0211202	სავალდებულო პროფესიული მოდული	330.00
2007	პრაქტიკული პროექტი – მუსიკის რეპეტიტორი	0211203	სავალდებულო პროფესიული მოდული	54.00
2008	შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება	0211204	სავალდებულო პროფესიული მოდული	102.00
2009	საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა	0211205	სავალდებულო პროფესიული მოდული	128.00
2010	ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა	0211206	სავალდებულო პროფესიული მოდული	117.00
2011	მუსიკალური კომპიუტერული პროგრამები (Finale)	0211207	არჩევითი მოდული	60.00
2012	პოპულარული მუსიკის მოსმენა და აღქმა	0211208	არჩევითი მოდული	73.00
2013	სიმფონიური ორკესტრის საკრავები	0211209	არჩევითი მოდული	77.00
2014	პრაქტიკული პროექტი მემინანქრეობაში	0212007	პროფესიული მოდული	483.00
2015	ტიხრული მინანქრის ნაკეთობათა დამზადება	0212008	პროფესიული მოდული	806.00
2016	მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება	0212009	პროფესიული მოდული	627.00
2017	ძველი ქართული ტიხრული მინანქრის შესრულების ტექნიკა	0212010	პროფესიული მოდული	28.00
2018	საიუველირო საქმის გაცნობითი პრაქტიკა	0212011	საერთო პროფესიული მოდული	73.00
2019	საიუველირო საქმის მასალათმცოდნეობა	0212012	საერთო პროფესიული მოდული	74.00
2020	ხაზვა – ქვის, ხის და ლითონის მხატვრული დამუშავებისათვის	0212014	საერთო პროფესიული მოდული	109.00
2021	საიუველირო ხელოვნების ისტორიის საწყისები	0212015	საერთო პროფესიული მოდული	28.00
2022	სამუშაოს ორგანიზება საიუველირო საქმეში	0212016	საერთო პროფესიული მოდული	50.00
2023	დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში	0212216	კონცენტრაციის მოდული	54.00
2024	ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება – Corel DRAW	0212217	კონცენტრაციის მოდული	272.00
2025	ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა	0212218	კონცენტრაციის მოდული	365.00

2026	დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება	0212219	კონცენტრაციის მოდული	227.00
2027	დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება	0212220	კონცენტრაციის მოდული	135.00
2028	PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)	0212221	კონცენტრაციის მოდული	123.00
2029	ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება	0212222	კონცენტრაციის მოდული	369.00
2030	ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება	0212223	კონცენტრაციის მოდული	310.00
2031	პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის	0212224	კონცენტრაციის მოდული	118.00
2032	მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები	0212233	საერთო პროფესიული მოდული	32.00
2033	დაზგა-დანადგარებთან მუშაობა	0212234	საერთო პროფესიული მოდული	529.00
2034	კომპოზიციის შექმნა	0212235	საერთო პროფესიული მოდული	216.00
2035	გაცნობითი პრაქტიკა – ციფრული ხელოვნება	0212236	საერთო პროფესიული მოდული	29.00
2036	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1	0212237	საერთო პროფესიული მოდული	220.00
2037	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2	0212238	საერთო პროფესიული მოდული	282.00
2038	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	0212239	საერთო პროფესიული მოდული	247.00
2039	მატყლის თელვა სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით 2	0212601	პროფესიული მოდული	539.00
2040	მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე 2	0212602	პროფესიული მოდული	488.00
2041	მხატვრული თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება 2	0212603	პროფესიული მოდული	477.00
2042	ქვილთი-ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება 2	0212604	პროფესიული მოდული	667.00
2043	პრაქტიკული პროექტი – თექის დამზადება 2	0212605	პროფესიული მოდული	292.00
2044	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	0230000	ინტეგრირებული მოდული	385.00
2045	მოქალაქეობა	0380000	ინტეგრირებული მოდული	275.00
2046	მეწარმეობა	0480000	ინტეგრირებული მოდული	110.00
2047	მათემატიკური წიგნიერება	0540000	ინტეგრირებული მოდული	385.00
2048	მეცნიერება და ტექნოლოგიები	0580000	ინტეგრირებული მოდული	495.00
2049	გაცნობითი პრაქტიკა – კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	0611220	კონცენტრაციის მოდული	34.00

2050	საწარმოო პრაქტიკა – კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	0611221	კონცენტრაციის მოდული	191.00
2051	კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები	0611222	კონცენტრაციის მოდული	136.00
2052	კომპიუტერული ქსელის დამისამართება	0611223	კონცენტრაციის მოდული	76.00
2053	ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა	0611224	კონცენტრაციის მოდული	78.00
2054	ქსელის გაფართოების უზრუნველყოფა	0611226	კონცენტრაციის მოდული	179.00
2055	გლობალურ ქსელთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა	0611227	კონცენტრაციის მოდული	139.00
2056	ქსელური უსაფრთხოება და მონიტორინგი	0611228	კონცენტრაციის მოდული	124.00
2057	ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება	0611229	კონცენტრაციის მოდული	187.00
2058	დარგობრივი ინგლისური ენა – კომპიუტერული ქსელები	0611230	კონცენტრაციის მოდული	194.00
2059	მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკილი BGP	0611231	არჩევითი მოდული	127.00
2060	ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	0611232	არჩევითი მოდული	51.00
2061	უსაფრთხო კავშირები და WAN ჩართვები (VPN, MPLS Applications)	0611233	არჩევითი მოდული	76.00
2062	IT პროექტების მენეჯმენტი	0611234	არჩევითი მოდული	67.00
2063	მეორე დონის პროტოკოლები და ტექნოლოგიები	0611235	არჩევითი მოდული	73.00
2064	მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი (OSPF, EIGRP, Redistribution)	0611236	არჩევითი მოდული	165.00
2065	პრაქტიკული პროექტი – ვებტექნოლოგიები	0611401	პროფესიული მოდული	68.00
2066	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	0611402	პროფესიული მოდული	241.00
2067	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	0611403	პროფესიული მოდული	205.00
2068	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	0611404	პროფესიული მოდული	128.00
2069	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება – JavaScript	0611405	პროფესიული მოდული	175.00
2070	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	0611406	პროფესიული მოდული	155.00
2071	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	0611407	პროფესიული მოდული	87.00
2072	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	0611408	პროფესიული მოდული	87.00
2073	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	0611409	პროფესიული მოდული	144.00
2074	ვებგვერდისთვის მულტიმედიური კონტენტის შექმნა (Adobe Animate)	0611410	არჩევითი მოდული	59.00

2075	ვებგვერდისთვის ფოტომასალის შექმნა	0611411	არჩევითი მოდული	51.00
2076	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება	0711314	კონცენტრაციის მოდული	219.00
2077	დაკიდების სისტემის სერვისი	0711315	კონცენტრაციის მოდული	300.00
2078	საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი	0711316	კონცენტრაციის მოდული	265.00
2079	წამყვანი ხიდები და ამძრავები	0711317	კონცენტრაციის მოდული	261.00
2080	ძრავის მოხსნა-დაყენება	0711320	კონცენტრაციის მოდული	302.00
2081	ძრავის საწვავით კვების სისტემის სერვისი	0711321	კონცენტრაციის მოდული	334.00
2082	ძრავის მექანიზმების სერვისი	0711322	კონცენტრაციის მოდული	369.00
2083	ძრავის შეზეთვა-გაგრილების სერვისი	0711323	კონცენტრაციის მოდული	301.00
2084	გაცნობითი პრაქტიკა – ბეჭდვით მედიატექნოლოგიებში	0711601	პროფესიული მოდული	52.00
2085	ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება	0711602	პროფესიული მოდული	615.00
2086	საბეჭდი და დამხმარე მასალები	0711603	პროფესიული მოდული	377.00
2087	ტრადიციული ბეჭდვის პროცესი	0711604	პროფესიული მოდული	343.00
2088	ციფრული ბეჭდვა	0711605	პროფესიული მოდული	251.00
2089	ეტიკეტი და შეფუთვა	0711606	პროფესიული მოდული	205.00
2090	ბეჭდვის შემდგომი პროცესები	0711607	პროფესიული მოდული	474.00
2091	სარეკლამო პროდუქციის წარმოება	0711608	პროფესიული მოდული	894.00
2092	პრაქტიკული პროექტი – ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები	0711610	პროფესიული მოდული	1514.00
2093	ძრავის ზოგადი დიაგნოსტირება	0711928	კონცენტრაციის მოდული	286.00
2094	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი	0711940	კონცენტრაციის მოდული	275.00
2095	აგრარული ტექნიკის საფუძვლები	0712101	პროფესიული მოდული	710.00
2096	ტრაქტორის და კომბაინის ძრავის ტექნიკური სერვისი	0712102	პროფესიული მოდული	548.00
2097	ტრაქტორისა და კომბაინის ტრანსმისიისა და სამუხრუჭე სისტემის ტექნიკური სერვისი	0712103	პროფესიული მოდული	470.00
2098	ტრაქტორისა და კომბაინის ჰიდრავლიკური სისტემებისა და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სერვისი	0712104	პროფესიული მოდული	478.00
2099	კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისი	0712105	პროფესიული მოდული	478.00
2100	კულტტექნიკური სამუშაოების ჩასატარებელი მანქანების	0712106	პროფესიული მოდული	478.00

	ტექნიკური სერვისი			
2101	ნიადაგდამამუშავებელი მანქანების ტექნიკური სერვისი	0712107	პროფესიული მოდული	475.00
2102	მცენარეთა ქიმიური დაცვისა და სასუქის შემტანი მანქანების ტექნიკური სერვისი	0712108	პროფესიული მოდული	411.00
2103	საკვებწარმოების მანქანების ტექნიკური სერვისი	0712109	პროფესიული მოდული	411.00
2104	მოტობლოკური აგრეგატების ტექნიკური სერვისი	0712110	პროფესიული მოდული	411.00
2105	მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების სათეს-სარგავი მანქანების ტექნიკური სერვისი	0712111	პროფესიული მოდული	413.00
2106	შრომის დაცვა აგრარულ საწარმოებში	0712112	პროფესიული მოდული	61.00
2107	პრაქტიკული პროექტი – აგრარულ მანქანათა ტექნიკური სერვისი	0712113	პროფესიული მოდული	151.00
2108	პრაქტიკული პროექტი – აგრარული ტექნიკის რემონტი	0712114	პროფესიული მოდული	138.00
2109	აგრარული დანიშნულების შენობა-ნაგებობების სერვისი	0712115	პროფესიული მოდული	1172.00
2110	აგრარული ტექნიკის ექსპლუატაცია	0712116	პროფესიული მოდული	136.00
2111	სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია	0712117	პროფესიული მოდული	191.00
2112	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა-მომსახურება	0712118	პროფესიული მოდული	449.00
2113	ბოსტნეული კულტურების თესვა-რგვა	0712119	სავალდებულო არჩევითი მოდული	170.00
2114	ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება	0712120	სავალდებულო არჩევითი მოდული	119.00
2115	თავთავიანი და სათოხნი კულტურების აღება	0712121	სავალდებულო არჩევითი მოდული	133.00
2116	კულტტექნიკური სამუშაოების ჩატარება	0712122	სავალდებულო არჩევითი მოდული	198.00
2117	მარცვლეული კულტურების თესვა	0712123	სავალდებულო არჩევითი მოდული	126.00
2118	ნიადაგის განოყიერება და მცენარეთა დაცვა	0712124	სავალდებულო არჩევითი მოდული	134.00
2119	ნიადაგის დამუშავება	0712125	სავალდებულო არჩევითი მოდული	152.00
2120	საკვებწარმოება – თივის დამზადება, სილოსის აღება	0712126	სავალდებულო არჩევითი მოდული	151.00
2121	პირველადი გადაუდებელი დახმარება – მექანიკა და ლითონის დამუშავება	0731425	საერთო პროფესიული მოდული	116.00
2122	ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები	0731427	კონცენტრაციის მოდული	183.00
2123	გაცნობითი პრაქტიკა – მეჩარხე	0731437	კონცენტრაციის მოდული	62.00

2124	ლითონდამამუშავებელი ჩარხის პროგრამული მართვა	0731438	კონცენტრაციის მოდული	486.00
2125	დეტალის დამუშავება სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	0731439	კონცენტრაციის მოდული	508.00
2126	დეტალის დამუშავება საფრეზი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	0731440	კონცენტრაციის მოდული	627.00
2127	დეტალის დამუშავება სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	0731441	კონცენტრაციის მოდული	532.00
2128	პრაქტიკული პროექტი – ნახაზის შესაბამისად კორპუსული დეტალის დამზადება სახარატო-საფრეზი პროგრამული მართვის უნივერსალურ-ვერტიკალურ-საფრეზი და სახეხი ჯგუფის ჩარხების გამოყენებით	0731442	კონცენტრაციის მოდული	92.00
2129	სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება	0732001	კონცენტრაციის მოდული	198.00
2130	ანაკრები კონსტრუქციების (ხის, პლასტმასის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება	0732005	კონცენტრაციის მოდული	166.00
2131	ყალიბების მოწყობა მშენებლობის პროცესში	0732006	კონცენტრაციის მოდული	825.00
2132	ანაკრები კონსტრუქციების (რკინაბეტონის, ლითონის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება	0732007	კონცენტრაციის მოდული	477.00
2133	საარმატურე სამუშაოები	0732008	კონცენტრაციის მოდული	319.00
2134	ყალიბში ბეტონის ჩაწყობა	0732009	კონცენტრაციის მოდული	202.00
2135	დაზიანებული ბათქაშის შეკეთება-აღდგენა	0732016	კონცენტრაციის მოდული	101.00
2136	ზედაპირების მომზადება მოსაბათქაშებლად	0732017	კონცენტრაციის მოდული	217.00
2137	კონსტრუქციული ელემენტების მობათქაშება	0732018	კონცენტრაციის მოდული	351.00
2138	მხატვრული მობათქაშება	0732019	კონცენტრაციის მოდული	203.00
2139	საბათქაშე სამუშაოების წარმოება (დუღაბით, გაჯით)	0732020	კონცენტრაციის მოდული	291.00
2140	სწორი რკინაბეტონის კიბეების ყალიბების მოწყობა	0732042	კონცენტრაციის მოდული	257.00
2141	სწორი და სპირალური კიბეების მოწყობა	0732043	კონცენტრაციის მოდული	429.00
2142	ხის მზიდი და არამზიდი კედლების მოწყობა	0732044	კონცენტრაციის მოდული	665.00
2143	პირველადი გადაუდებელი დახმარება	0910117	პროფესიული მოდული	137.00
2144	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	0910901	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	133.00
2145	ფარმაკოლოგია	0910902	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	182.00
2146	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	0910903	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	67.00
2147	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	0910904	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	83.00

2148	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	0910905	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	74.00
2149	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	0910906	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	186.00
2150	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	0910907	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	211.00
2151	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	0910908	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	102.00
2152	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	0910909	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	179.00
2153	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	0910910	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	72.00
2154	პედიატრია და მოზარდები	0910911	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	99.00
2155	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	0910912	თეორიული სწავლება – საექთნო საქმე	105.00
2156	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	0910913	თეორიული სწავლება – სოციალურ მეცნიერებები	39.00
2157	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში	0910914	თეორიული სწავლება – სოციალურ მეცნიერებები	96.00
2158	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები	0910915	თეორიული სწავლება – სოციალურ მეცნიერებები	71.00
2159	ავადმყოფის მოვლა	0910916	პროფესიული მოდული – პრაქტიკული სწავლება	182.00
2160	შინმოვლა	0910917	პროფესიული მოდული – პრაქტიკული სწავლება	113.00
2161	ჰისტოლოგია	0910918	თეორიული სწავლება – საბაზო მეცნიერებები	62.00
2162	ბიოქიმია	0910919	თეორიული სწავლება – საბაზო მეცნიერებები	124.00
2163	მიკრობიოლოგია	0910920	თეორიული სწავლება – საბაზო მეცნიერებები	133.00
2164	ანატომია-ფიზიოლოგია	0910921	თეორიული სწავლება – საბაზო მეცნიერებები	313.00
2165	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	0910922	თეორიული სწავლება – საბაზო მეცნიერებები	145.00
2166	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	0910923	ზოგადი მოდული	95.00
2167	საინფორმაციო ტექნოლოგიები საექთნო საქმეში	0910924	ზოგადი მოდული	86.00
2168	უცხოური ენა საექთნო საქმეში	0910925	ზოგადი მოდული	160.00
2169	კლინიკური პრაქტიკა– გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	0910926	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	339.00
2170	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – გადაუდებელი	0910927	პროფესიული მოდული –	263.00

	პაციენტის საექთნო მართვა		კლინიკური სწავლება	
2171	კლინიკური პრაქტიკა – თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	0910928	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	386.00
2172	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	0910929	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	242.00
2173	კლინიკური პრაქტიკა – კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	0910930	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	403.00
2174	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	0910931	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	183.00
2175	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	0910932	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	235.00
2176	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – პედიატრია და მოზარდები	0910933	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	142.00
2177	კლინიკური პრაქტიკა – სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	0910934	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	251.00
2178	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	0910935	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	169.00
2179	კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	0910936	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	182.00
2180	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	0910937	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	182.00
2181	კლინიკური პრაქტიკა – ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	0910938	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	353.00
2182	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	0910939	პროფესიული მოდული – კლინიკური სწავლება	264.00
2183	მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები	0911001	პროფესიული მოდული	100.00
2184	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	0911002	პროფესიული მოდული	69.00
2185	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	0911003	პროფესიული მოდული	277.00
2186	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	0911004	პროფესიული მოდული	171.00
2187	მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	0911006	პროფესიული მოდული	105.00
2188	ბოტანიკა	0911007	პროფესიული მოდული	171.00
2189	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	0911008	პროფესიული მოდული	124.00
2190	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	0911009	პროფესიული მოდული	93.00
2191	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	0911010	პროფესიული მოდული	244.00
2192	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	0911011	პროფესიული მოდული	192.00

2193	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება	0911012	პროფესიული მოდული	71.00
2194	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	0911013	პროფესიული მოდული	416.00
2195	პროდუქციის მიღება – განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება	0911014	პროფესიული მოდული	133.00
2196	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	0911015	პროფესიული მოდული	169.00
2197	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	0911016	პროფესიული მოდული	99.00
2198	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	0911017	პროფესიული მოდული	64.00
2199	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	0911018	პროფესიული მოდული	335.00
2200	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	0911019	პროფესიული მოდული	161.00
2201	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	0911020	პროფესიული მოდული	207.00
2202	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	0911021	პროფესიული მოდული	150.00
2203	სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	0911022	პროფესიული მოდული	198.00
2204	ტოქსიკური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	0911023	პროფესიული მოდული	217.00
2205	ფარმაკოლოგია	0911024	პროფესიული მოდული	233.00
2206	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	0911025	პროფესიული მოდული	149.00
2207	შესავალი ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების პროფესიაში	0911229	კონცენტრაციის მოდული	130.00
2208	ხილისა და ბოსტნეულის ბიოლოგიური თავისებურებები	0911230	კონცენტრაციის მოდული	22.00
2209	ხილისა და ბოსტნეულის ფიტოქიმიური საფუძვლები	0911231	კონცენტრაციის მოდული	46.00
2210	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიური საფუძვლები	0911232	კონცენტრაციის მოდული	27.00
2211	ხილისა და ბოსტნეულის საწარმოში მიღება და პირველადი დამუშავება	0911233	კონცენტრაციის მოდული	159.00
2212	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება	0911234	კონცენტრაციის მოდული	458.00
2213	ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოება	0911235	კონცენტრაციის მოდული	292.00
2214	ხილის კონცენტრირებული წვენის წარმოება	0911236	კონცენტრაციის მოდული	285.00
2215	ხილისა და ბოსტნეულის შრობა	0911237	კონცენტრაციის მოდული	167.00
2216	ხილისა და ბოსტნეულის სწრაფგაყინვა	0911238	კონცენტრაციის მოდული	177.00

2217	ხილისა და ბოსტნეულის შენახვისუნარიანობის უზრუნველყოფა	0911239	კონცენტრაციის მოდული	90.00
2218	დასაფასოებელი ტარის მომზადება	0911240	კონცენტრაციის მოდული	154.00
2219	ხილისა და ბოსტნეულის ნიმუშების პარამეტრების შემოწმება	0911241	კონცენტრაციის მოდული	156.00
2220	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქციის ხარისხი და უვნებლობა	0911242	კონცენტრაციის მოდული	231.00
2221	ხილისა და ბოსტნეულის ბავშვთა პროდუქტების წარმოების საფუძვლები	0911243	კონცენტრაციის მოდული	19.00
2222	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ნარჩენების გამოყენების საფუძვლები	0911244	კონცენტრაციის მოდული	25.00
2223	გაცნობითი პრაქტიკა – სოფლის მეურნეობა	0911301	ზოგადი მოდული	57.00
2224	აგრობიზნესის ადმინისტრირება	0911410	პროფესიული მოდული	89.00
2225	მეხილეობის ბიოლოგიური საფუძვლები	0911417	პროფესიული მოდული	54.00
2226	ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება	0911418	პროფესიული მოდული	310.00
2227	ხეხილის ბაღის გაშენება	0911419	პროფესიული მოდული	688.00
2228	ხეხილის დაცვა	0911420	პროფესიული მოდული	616.00
2229	ხეხილოვანი კულტურების ბაღის მოვლა	0911421	პროფესიული მოდული	201.00
2230	ხილის დახარისხება-შენახვა	0911422	პროფესიული მოდული	167.00
2231	ნიადაგის დამუშავების საფუძვლები	0911424	პროფესიული მოდული	61.00
2232	მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა	0911427	პროფესიული მოდული	377.00
2233	მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა	0911428	პროფესიული მოდული	100.00
2234	ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-დაცვა	0911429	პროფესიული მოდული	342.00
2235	მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა	0911430	პროფესიული მოდული	348.00
2236	საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება	0911433	პროფესიული მოდული	346.00
2237	მოსავლის აღება-შენახვა	0911438	პროფესიული მოდული	110.00
2238	დახურული გრუნტის მოწყობა	0911444	პროფესიული მოდული	117.00
2239	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში	0911445	პროფესიული მოდული	146.00
2240	ვენახისათვის ნაკვეთის შერჩევა-მომზადება	0911448	პროფესიული მოდული	119.00
2241	ვაზის სარგავი მასალის წარმოება	0911449	პროფესიული მოდული	144.00

2242	საშემოდგომო სამუშაოები ვენახში	0911450	პროფესიული მოდული	121.00
2243	ვენახის გაშენება	0911451	პროფესიული მოდული	146.00
2244	აგროტექნოლოგიური ღონისძიებები ვენახში	0911452	პროფესიული მოდული	163.00
2245	ყურძნის მოსავლის აღება-რეალიზაცია	0911453	პროფესიული მოდული	92.00
2246	მეფუტკრეობის საფუძვლები	0911454	პროფესიული მოდული	205.00
2247	შრომისა და უსაფრთხოების დაცვის საფუძვლები მეფუტკრეობაში	0911455	პროფესიული მოდული	81.00
2248	ფუტკრის დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკა	0911456	პროფესიული მოდული	143.00
2249	ფუტკრის მოვლა-შენახვა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში	0911457	პროფესიული მოდული	201.00
2250	ფუტკრის მოვლა-შენახვა გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში	0911458	პროფესიული მოდული	217.00
2251	ფუტკრის საკვები ბაზის გამოყენება	0911459	პროფესიული მოდული	190.00
2252	თაფლის მიღება -რეალიზაცია	0911460	პროფესიული მოდული	196.00
2253	ფუტკრის პროდუქტების მიღება	0911461	პროფესიული მოდული	178.00
2254	სადურგლო საქმე სოფლის მეურნეობაში	0911482	სავალდებულო არჩევითი მოდული	775.00
2255	ხეხილის სხვლა-ფორმირება	0911483	პროფესიული მოდული	318.00
2256	საწარმოო პრაქტიკა – სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისთვის	1040616	პროფესიული მოდული – გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია	1104.00